ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №71

15.12.2020 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

11:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: გიორგი დოხტურიშვილი (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, ლევან ჯაფარიძე, ერეკლე კუხიანიძე, ლევან ჯაფარიძე.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. **რევაზ სოხაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. **ლევან ჟორჟოლიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. **დავით უთმელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. **დავით ჭელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. **ვახტანგ შაქარიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. **ოთარ ჩიტიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე.

გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: გიორგი დოხტურიშვილი (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი გიორგი დოხტურიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

სხდომა გაიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის სრული დაცვით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების მუხლი 30) გარემოს დაცვის, ასევე, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების ერთობლივი სხდომის ფორმატში.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 10 დეკემბრის №12-032034567-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 11 დეკემბრის №12-032034647-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 10 დეკემბრის №12-032034567-03 წერილი)

დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა ოთარ ჩიტიძემ.

მომხსენებლის (ო. ჩიტიძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის

გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 9 დეკემბრის №20.1449.1796 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 5 წინადადება - №0120333115-67, №0120338568-67(№0120296604-67), №01203232654-67, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2 ინიციატივა).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - **№0120333115-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, II მიკრო/რაიონში, ინტენსიფიკაციის გზის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.16.015.406 და მის მიმდებარედ) მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სარეკრეაციო ზონა 1-ით (რზ-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2020 წლის 15 სექტემბრის №18-01202593805 და 2020 წლის 2 დეკემბრის №01203372430 წერილების მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა №01.14.16.015.406 საკადასტრო ერთეულზე და მის მომიჯნავე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე განხორციელდეს საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სარეკრეაციო ზონა 1-ით (რზ-1) ცვლილება.

საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს რთული რელიეფის მქონე სივრცეს. აღნიშნულ ტერიტორიაზე დადგენილი ზონირება არ შეესაბამება არსებულ რეალობას. შესაბამისად, სამშენებლო განვითარება მიზანშეწონილია სარეკრეაციო სივრცის ფუნქციით.

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№0120338568-67(№0120296604-67) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, წიწამურის ქუჩა №17-ში (ნაკვეთი №10/13) მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.12.12.010.013) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური 2020 წლის 28 ოქტომბრის

№0120302895 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება.

სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1), რომელიც გადადის №01.12.12.010.013 საკადასტრო ერთეულზე, ფაქტობრივად არ წარმოადგენს გზას და არის კერძო საკუთრება. ტერიტორია შემოსაზღვრულია მყარი კონსტრუქციით და მასზე განთავსებულია საცხოვრებელი სახლი.

ამასთანავე, ცვლილებით გამოწვეული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ცვლილება ხორციელდება №01.12.12.010.013 საკადასტრო ერთეულის მიმდებარე ტერიტორიაზეც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, წიწამურის ქუჩა №17-ში (ნაკვეთი №10/13) მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.12.12.010.013) ნაწილზე და მიმდებარედ სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№01203232654-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ლუბოვსკის ქუჩა №1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.12.14.054.008-ის მიმდებარედ) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება.

ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, საპროექტო ტერიტორიაზე გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) იჭრება კერძო მფლობელობაში, გადადის ფაქტობრივად არსებულ საცხოვრებელ სახლზე და შესაბამისად, არ წარმოადგენს გზას.

- განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით,** ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №81.01.06.800-ის მიმდებარე ტერიტორია) იცვლება ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონა და საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1), ასევე, იხსნება გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 8 დეკემბრის №18-01203432218 წერილის მიხედვით, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა დანართის სახით წარმოდგენილ საპროექტო ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №81.01.06.800-ის მიმდებარედ) განხორციელდეს

მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის ფენის მოხსნა.

მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ტერიტორიის ერთიანი სახით განვითარება და განაშენიანების ხელშეწყობა სატრანსპორტო ქვეზონის უზრუნველყოფის გზით.

ამასთან, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდებოდა სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1).

- განმარტებითი ბარათის „ე“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით,** ქალაქ თბილისში, დ. აღმაშენებლის ხეივანში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.13.01.022.198, №01.13.01.022.155, №01.13.01.022.154 და მიმდებარე ტერიტორია) იცვლება ძირითადი რუკით განსაზღვრული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ით (სსზ-3) და იხსნება გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ფენა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 8 დეკემბრის №18-0120343222 წერილის მიხედვით, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა დანართის სახით წარმოდგენილ საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ფენის მოხსნა.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდებოდა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2).

ამასთან, ფუნქციური ზონის ცვლილების არეალში განაშენიანების დომინირებულ სახეობას წარმოადგენს კომერციული გამოყენების (და მის დამხმარე) ობიექტები.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №0120333115-67, №0120338568-67(№0120296604-67), №01203232654-67 განცხადებებთან და ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის -

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2 ინიციატივასთან (სულ: 5 წინადადება) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 10 დეკემბრის **№12-032034567-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 5 წინადადება - №0120333115-67, №0120338568-67(№0120296604-67), №01203232654-67, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2 ინიციატივა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 10 დეკემბრის **№12-032034567-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 5 წინადადება - №0120333115-67, №0120338568-67(№0120296604-67), №01203232654-67, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2 ინიციატივა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 11 დეკემბრის №12-032034647-03 წერილი)

დღის წესრიგის მეორე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა ოთარ ჩიტიძემ.

მომხსენებლის (ო. ჩიტიძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 10 დეკემბრის №20.1468.1807 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 1 წინადადება - №01203393069-67).

- ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი - **№01203393069-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, გამცემლიძის ქუჩა №29-სა და №27-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდები: №01.16.06.054.002, №01.16.06.054.063) ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით გავრცელებული ურბანული გამწვანების (შიდა კვარტალური) ფენის მოხსნა და ძირითადი რუკით განსაზღვრული საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) გავრცელება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2020 წლის 8 დეკემბრის №18-01203432236 წერილით, თანახმაა განხორციელდეს გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული ფენის მოხსნა.

ამასთანავე, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, №01.16.06.054.002 და №01.16.06.054.063 საკადასტრო ერთეულებზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3). აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე და მიმდებარე ტერიტორიაზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, კვლავ საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) ვრცელდება.

გარდა ამისა, ცვლილებით გამოწვეული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ცვლილება ხორციელდება აგრეთვე, №01.16.06.054.063 საკადასტრო ერთეულის მიმდებარე ტერიტორიაზეც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გამცემლიძის ქუჩა №29-სა და №27-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.16.06.054.002, №01.16.06.054.063) ნაწილზე და მიმდებარედ გამწვანებული ტერიტორიების რუკით გავრცელებული ურბანული გამწვანების (შიდა კვარტალური) ფენის მოხსნა და ძირითადი რუკით განსაზღვრული საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) გავრცელება მისაღებია.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №01203393069-67 განცხადებასთან (სულ: 1 წინადადება) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 11 დეკემბრის **№12-032034647-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 1 წინადადება - №01203393069-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 11 დეკემბრის **№12-032034647-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 1 წინადადება - №01203393069-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი დოხტურიშვილი